



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი
2015 წლის 13 ოქტომბერი

არაოფიციალური თარგმანი

რეზოლუცია № 2242 (2015)

მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 7533-ე სხდომაზე
2015 წლის 13 ოქტომბერს

უშიშროების საბჭო,

კიდევ ერთხელ ადასტურებს ვალდებულებას, რომ ურთიერთთანამშრომლობის პირობებში გააგრძელებს და სრულად განახორციელებს რეზოლუციებს 1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013) და 2122 (2013) და უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის ყველა შესაბამისი განცხადებას,

ითვალისწინებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებულ მიზნებსა და პრინციპებს და უშიშროების საბჭოს წესდებით განსაზღვრულ უპირველეს პასუხისმგებლობას - ხელი შეუწყოს საერთაშორისო მასშტაბით მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებას,

ადასტურებს რა წევრი სახელმწიფოების მნიშვნელოვან ფუნქციას - სრულად განახორციელონ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციათა შესაბამისი დებულებები და გაერო-ს უწყებებისა და რეგიონული ორგანიზაციების მნიშვნელოვან ურთიერთდამხმარე როლს,

ამახვილებს რა ყურადღებას პეკინის დეკლარაციასა და სამოქმედო პლატფორმაში განსაზღვრულ ვალდებულებებზე და დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის ოცი წლისთავზე, *მიესალმება* რა 2015 წლის 27 სექტემბერს გამართულ მსოფლიო ლიდერთა შეხვედრას გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე და *მაღალ შეფასებას აძლევს* რა წევრ სახელმწიფოთა ლიდერების მიერ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით აღებულ კონკრეტულ ვალდებულებებს,

ადასტურებს რა წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებებს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის და მისი ფაკულტატიური ოქმის

საფუძველზე, მოუწოდებს რა სახელმწიფოებს, რომელთაც ჯერ არ მოუხდენიათ აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, განახორციელონ მისი რატიფიცირება, და აღნიშნავს რა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის №30 ზოგად რეკომენდაციას ქალებისა და კონფლიქტების პრევენციის და კონფლიქტისშემდგომი სიტუაციების შესახებ,

მიესალმება რა გენერალური მდივნის 2015 წლის 17 სექტემბრის ანგარიშს (S/2015/716), რომელშიც წარმოდგენილია №1325 რეზოლუციის განხორციელების შესახებ მსოფლიო კვლევის შედეგები, აღიარებს რა და აფასებს მსოფლიო კვლევის განსახორციელებლად გაწეულ შრომას და მოუწოდებს რა კვლევის რეკომენდაციების საფუძველიანად შესწავლისაკენ,

აღნიშნავს რა მნიშვნელოვან კავშირს კონფლიქტის პრევენციაში, მოგვარებასა და კონფლიქტისშემდგომი აღდგენის მცდელობებში ქალთა მიზანმიმართულ მონაწილეობასა და აღნიშნული მცდელობების ეფექტიანობას და გრძელვადიან მდგრადობას შორის, ასევე მეტი რესურსების გამოყოფის, ანგარიშვალდებულების, პოლიტიკური ნებისა და დამოკიდებულების ცვლილების საჭიროებას,

ითვალისწინებს რა გენერალური მდივნის ანგარიშს „გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციების მომავალი: სამშვიდობო ოპერაციების მაღალი დონის დამოუკიდებელი კომისიის რეკომენდაციათა შესრულება“ (S/2015/682) და გაერო-ს სამშვიდობო არქიტექტურის გადასინჯვის სფეროში ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფის ანგარიშს (S/2015/490), და მიესალმება რა აღნიშნულ ანგარიშში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, მოუწოდებს რა ასევე ყველა მხარეს, გაითვალისწინონ ამ რეკომენდაციათა შესრულების საკითხი,

ადასტურებს რა სახელმწიფოებისა და შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის ვალდებულებას, სათანადოდ შეასრულონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველა დარღვევისა და ადამიანის უფლებათა ყველა დარღვევისა და ხელყოფის აღმოფხვრის საჭიროებას,

ადასტურებს რა, რომ სექსუალურ ძალადობას, როდესაც იგი გამოიყენება ან ნებადართულია ომის მეთოდის ან ტაქტიკის სახით ან სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართო ან მიზანმიმართული შეტევის ფარგლებში, შეუძლია მნიშვნელოვნად გაამწვავოს და გაახანგრძლივოს შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციები და ხელი შეუშალოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენას,

მიესალმება რა ახლახან მიღებული „2030 წლისათვის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში“ ყურადღების გამახვილებას გენდერული თანასწორობისა და ქალთა და გოგონათა გაძლიერების მიღწევაზე, ადასტურებს რა, რომ ქალთა და გოგონათა გაძლიერებას და გენდერული თანასწორობის მიღწევას არსებითი მნიშვნელობა

ენიჭება კონფლიქტების პრევენციისთვის და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებისკენ მიმართული უფრო ფართო ძალისხმევისათვის, აღნიშნავს რა ამ თვალსაზრისით სამშვიდობო ოპერაციების მაღალი დონის დამოუკიდებელი კომისიის ანგარიშში (S/2015/446), გაერო-ს სამშვიდობო არქიტექტურის გადასინჯვის სფეროში ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფის ანგარიშში (S/2015/490) და, *inter alia*, კონფლიქტების პრევენციასა და ქალთა გაძლიერებაში უფრო მეტი ძალისხმევითა და ინვესტიციების ჩადების საჭიროების შესახებ გლობალურ კვლევაში გაკეთებულ აქცენტს, გარდა ამისა, *ამახვილებს რა ყურადღებას* იმ ფაქტზე, რომ №1325 (2000) რეზოლუციის სრულფასოვნად განხორციელების წინაშე არსებული დაბრკოლებების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ქალთა მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების მიმართ ნაკისრი ვალდებულებების მიზანმიმართული შესრულებით და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ქალთა მონაწილეობის დამკვიდრების ხელშეწყობით, თანმიმდევრული ლიდერობით, ინფორმაციის გავრცელებითა და ქმედებით,

კიდევ ერთხელ ამახვილებს რა ყურადღებას მამაკაცებისა და ბიჭების მიერ შეიარაღებული კონფლიქტის პრევენციასა და მოგვარებაში, მშვიდობის განმტკიცების საქმიანობაში და კონფლიქტისშემდგომ სიტუაციებში ქალთა პარტნიორობის სახით მონაწილეობის ხელშეწყობის მნიშვნელობაზე,

აღნიშნავს რა მშვიდობისა და უსაფრთხოების ცვალებად გლობალურ კონტექსტს, კერძოდ, ტერორიზმის ხელშემწყობი ძალადობრივი ექსტრემიზმის გაფართოების თვალსაზრისით, ასევე აღნიშნავს რა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის ზრდას, კლიმატის ცვლილების შედეგებს და პანდემიების გლობალურ ხასიათს და ამ თვალსაზრისით *კიდევ ერთხელ აცხადებს რა* თავის განზრახვას, მეტი ყურადღება მიაპყროს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებს როგორც მის დღის წესრიგში გათვალისწინებული სამუშაოს სხვადასხვა სფეროსთვის საერთო თემატურ საკითხებს, მათ შორის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ტერორისტული აქტებით გამოწვეულ საფრთხეებს,

აღიარებს რა ქალთა და გოგონათა უფლებებზე ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის სხვადასხვაგვარ ზეგავლენას, მათ შორის მათი ჯანმრთელობის, განათლების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის კონტექსტში, ასევე იმას, რომ ისინი ხშირად ტერორისტული ჯგუფების პირდაპირი სამიზნეები ხდებიან, და *გამოხატავს რა დიდ შემფოთებას* იმასთან დაკავშირებით, რომ სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის აქტები წარმოადგენს გარკვეული ტერორისტული ჯგუფების სტრატეგიული მიზნებისა და იდეოლოგიის ნაწილს და გამოიყენება როგორც ტერორიზმის ტაქტიკა და მათი ძალის გასაძლიერებელი ინსტრუმენტი, როგორც ეს აღწერილია კონფლიქტების სიტუაციებში სექსუალური ძალადობის შესახებ გენერალური მდივნის 2015 წლის 23 მარტის ანგარიშში (S/2015/203), და *დამატებით მიუთითებს* ტერორიზმის საწინააღმდეგო გლობალური ფორუმის კარგ პრაქტიკაზე ქალებთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ,

აღიარებს რა №1325 (2000) რეზოლუციის თხუთმეტი წლისთავის მნიშვნელობას, რეზოლუციის განხორციელებაში მიღწეულ პროგრესს, ასევე ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ბევრად უფრო ფართოდ განხორციელების შესაძლებლობას და საჭიროებასაც, და კვლავ გამოხატავს რა დიდ შემფოთებას ქალების ხშირ შემთხვევაში დაბალი წარმომადგენლობით ბევრ ოფიციალურ პროცესსა და უწყებაში, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე ზრუნვასთან, ქალების შედარებით დაბალი რაოდენობით მაღალი რგოლის პოზიციებზე პოლიტიკურ, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში, ადეკვატური, გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური ჰუმანიტარული რეაგირების ნაკლებობით და ამ პირობებში ქალებისთვის ხელმძღვანელი როლების მინიჭების ხელშეწყობის არარსებობით, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების არასაკმარისი დაფინანსებით და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე ამით გამოწვეული საზიანო შედეგებით,

აღიარებს რა სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების, მნიშვნელოვან წვლილს უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში №1325 რეზოლუციის განხორციელების საკითხში,

აღიარებს რა, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების და ჰუმანიტარულ საკითხებში ქალთა ჩართულობის გლობალური დაჩქარების ახალი ინსტრუმენტი, არსებულ ურთიერთშემავსებელ მექანიზმებთან ერთად, წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას რესურსების მოზიდვისათვის, რეაგირების კოორდინირებისა და განხორციელების დაჩქარებისათვის,

1. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მაღალი დონის განხილვის ფარგლებში შეაფასონ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების სტრატეგიები და რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი, იმეორებს თავის მოწოდებას წევრი სახელმწიფოებისათვის, უზრუნველყონ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაზე მომუშავე ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებსა და მექანიზმებში, მოუწოდებს ასევე იმ პირებს, ვინც მუშაობს სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობაზე, მხარი დაუჭირონ ქალთა მიზანმიმართულ ჩართვას მხარეთა დელეგაციებში, რომლებიც იგზავნება სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, მოუწოდებს დონორ ქვეყნებს, სამშვიდობო პროცესებში ჩართულ ქალებს გაუწიონ ფინანსური და ტექნიკური დახმარება, მათ შორის ჩაუტარონ ტრენინგები მედიაში, ადვოკატირებაში, მოლაპარაკებების ტექნიკურ მხარეებში, ასევე უზრუნველყონ დახმარება და ტრენინგები მედიატორებისა და ტექნიკური გუნდებისათვის ქალთა მონაწილეობისა და ქალთა ეფექტიანი ჩართვის სტრატეგიების შედეგებზე, მოუწოდებს ასევე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საჭიროებისამებრ მიზანმიმართული ჩართვისაკენ მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ საერთაშორისო და რეგიონულ შეხვედრებში, მათ შორის დონორთა კონფერენციებში, რათა მათ ხელი შეუწყონ პოლიტიკისა და პროგრამების

შემუშავებაში, პრიორიტეტულობის განსაზღვრაში, კოორდინირებასა და განხორციელებაში გენდერული საკითხების გათვალისწინებას, ხოლო ამგვარი შეხვედრების მასპინძლებს *მოუწოდებს*, სათანადოდ გაითვალისწინონ შეხვედრებზე სამოქალაქო საზოგადოების წევრთა წარმომადგენლობის საკითხი;

2. *მიესალმება* წევრ სახელმწიფოთა ძალისხმევას, რომელიც მიმართულია №1325 რეზოლუციის განხორციელებისაკენ, მათ შორის ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებას, *ასევე მიესალმება* ბოლო წლების განმავლობაში ეროვნული სამოქმედო გეგმების რაოდენობის გაზრდას, და *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი ჩართონ საკუთარ სტრატეგიულ გეგმებში, როგორც არის ეროვნული სამოქმედო გეგმები და დაგეგმვის სხვა ჩარჩოები, და გამოუყონ საკმარისი რესურსები, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებების განხორციელების გეგმებში, ფართო საკონსულტაციო პროცესზე, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძოდ, ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით, *მოუწოდებს* ეროვნული სამოქმედო გეგმების მქონე ქვეყნებს, წარმოადგინონ ინფორმაცია განხორციელებაში მიღწეული წინსვლის შესახებ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე უშიშროების საბჭოს ღია დებატების მსვლელობისას, *ასევე მიესალმება* რეგიონულ ორგანიზაციათა საქმიანობას №1325 რეზოლუციის განხორციელების მიმართულებით, მათ შორის რეგიონული ჩარჩოების მიღების მეშვეობით, და *მოუწოდებს მათ*, განაგრძონ განხორციელების პროცესი;

3. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, გაზარდონ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების დაფინანსება, მათ შორის კონფლიქტის და კონფლიქტისშემდგომ სიტუაციებში იმგვარი პროგრამებისათვის დახმარების გაზრდით, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას და ქალთა გაძლიერებას, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისთვის დახმარების გაწევის მეშვეობით, და ხელი შეუწყოს შეიარაღებული კონფლიქტის ან კონფლიქტისშემდგომ სიტუაციებში მყოფ ქვეყნებს, მათ შორის შესაძლებლობათა განვითარების გზით, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული რეზოლუციების შესრულებაში, *მიუთითებს* განვითარების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების საჭიროებაზე გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისა და ქალთა გაძლიერების თვალსაზრისით და ასევე *მოუწოდებს* დახმარების გამწვავთ, გააკონტროლონ, თუ რამდენად ხდება დახმარების გაწევისას გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება;

4. *მოუწოდებს* გენერალურ მდივანს და გაერო-ს შესაბამის უწყებებს, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტს (DPKO), პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტს (DPA) და მშვიდობის განმტკიცების საქმიანობის მხარდაჭერის ოფისს (PBSO), გააორმაგონ ძალისხმევა საკუთარ საქმიანობაში, მათ შორის პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის ყველა პროცესში და შეფასების მისიებში, ასევე №2122 (2013) რეზოლუციაში მოცემულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, ქალთა საჭიროებებისა და გენდერული პერსპექტივის ჩასართავად, და აღმოფხვრან

ანგარიშვალდებულებაში არსებული ნაკლოვანებები, მაგალითად, გენერალური მდივნის მიერ გენდერული სამიზნეების დამატებით სამუშაოს შესრულების ინდივიდუალური შედეგების ინდიკატორის სახით გაერო-ს სათავო ოფისში და სავლე საქმიანობით დაკავებულ მაღალი რგოლის ყველა მენეჯერთან, მათ შორის გენერალური მდივნის სპეციალურ დესპანებთან და სპეციალურ წარმომადგენლებთან, ქვეყნებში მოქმედ წარმომადგენლებთან და ჰუმანიტარული საკითხების კოორდინატორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რათა ხდებოდეს მათი გამოყენება გენერალური მდივნის მიერ მონიტორინგის საქმიანობაში და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, მათ შორის მომავალში წარმოქმნილ თანამდებობებზე თანამშრომლების ასაყვანად, და *ასევე მოუწოდებს* უფრო მჭიდრო სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბებისაკენ გაერო-ს სისტემის ფარგლებში ყველა იმ პირს შორის, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაზე, მათ შორის გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების კოორდინაციასა და ანგარიშვალდებულებაში მათი როლის გათვალისწინებით, და გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან კონფლიქტის სიტუაციებში სექსუალური ძალადობის საკითხებში;

5. *აღიარებს* თავის საქმიანობაში №1325 (2000) რეზოლუციის უფრო მეტად ჩართვის საჭიროებას №2122 (2013) რეზოლუციაზე მუშაობასთან შეთანხმებულად, მათ შორის იმის საჭიროებას, რომ ყურადღება მიექცოს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოს დღის წესრიგში არსებული სიტუაციების გენდერული ასპექტების შესახებ კონკრეტული ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიწოდებასთან, რათა მოხდეს საბჭოს გადაწყვეტილებებისთვის და, დამატებით, №2122 (2013) რეზოლუციის ელემენტებისათვის, ინფორმაციის უზრუნველყოფა და მათი განმტკიცება, და დადგენილი პრაქტიკისა და პროცედურის შესაბამისად:

(ა) *აცხადებს თავის განზრახვას*, მოიწვიოს უშიშროების საბჭოს შესაბამისი ექსპერტების შეხვედრები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ექსპერტთა არაოფიციალური ჯგუფის ფარგლებში, რათა წახალისოს საკუთარ საქმიანობაში უფრო სისტემური მიდგომა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი და ხელი შეუწყოს განხორციელების საქმიანობის კონტროლისა და კოორდინირების გაზრდას;

(ბ) *იღებს გადაწყვეტილებას*, ჩართოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხები უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში არსებულ ყველა სიტუაციაში თითოეული ქვეყნის კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით, *აცხადებს თავის განზრახვას*, უშიშროების საბჭოს პერიოდული კონსულტაციები ქვეყნებში არსებულ სიტუაციებთან დაკავშირებით მიუძღვნას, საჭიროებისამებრ, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების განხორციელების, წინსვლისა და გამოწვევების თემას და *იმეორებს თავის განზრახვას*, უზრუნველყოს, რომ უშიშროების საბჭოს მისიები ითვალისწინებდეს გენდერულ საკითხებს და ქალთა უფლებებს, მათ შორის ქალთა ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფებთან კონსულტაციის მეშვეობით;

(გ) აცხადებს თავის განზრახვას, შესთავაზოს სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის ქალთა ორგანიზაციებს, მიაწოდონ საბჭოს ინფორმაცია ქვეყნებისთვის დამახასიათებელ საკითხებზე და შესაბამის თემატურ სფეროებზე, ასევე გენერალური მდივნის მოადგილეს/გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს და გენერალური მდივნის მოადგილეს/გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კონფლიქტების სიტუაციებში სექსუალური ძალადობის საკითხებში მოუწოდოს, უფრო რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია ქვეყნებისთვის დამახასიათებელ საკითხებზე და მათ დღის წესრიგში არსებული საქმიანობის შესაბამის თემატურ სფეროებზე, მათ შორის კონფლიქტების და კრიზისების სიტუაციებში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისათვის გადაუდებელი აუცილებლობის საკითხებზე;

6. აცხადებს თავის განზრახვას, შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციებში მიზნობრივი სანქციების შემოღებისას ან განახლებისას გაითვალისწინოს იმ პირების, მათ შორის ტერორისტული ჯგუფების წევრების, საჭიროებისამებრ დადგენა, ვინც მონაწილეობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებში და ადამიანის უფლებათა დარღვევებსა და ხელყოფაში, მათ შორის სექსუალურ და გენდერული ნიშნით ძალადობაში, ადამიანების იძულებით გაუჩინარებასა და იძულებით გადაადგილებაში, და იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს, რომ სანქციების კომიტეტებთან მომუშავე შესაბამის ექსპერტთა ჯგუფებს ჰქონდეთ აუცილებელი გამოცდილება გენდერულ საკითხებში;

7. მოუწოდებს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტს (DPKO) და პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტს (DPA), უზრუნველყონ აუცილებელი გენდერული ანალიზისა და გენდერულ საკითხებში ტექნიკური ცოდნის ჩართვა მისიის დაგეგმვის, მანდატის ჩამოყალიბების, განხორციელების, გადასინჯვისა და მისიის ნაწილობრივ გამოწვევის ყველა ფაზაში, რაც უზრუნველყოფს ქალთა საჭიროებებისა და მონაწილეობის ინტეგრირებას მისიების მანდატების ყველა თანმიმდევრულ ეტაპზე, მიესალმება გენერალური მდივნის მიერ აღებულ ვალდებულებას, რომ მისი სპეციალური წარმომადგენლების სამსახურებში განთავსდნენ გენდერულ საკითხებში უფროსი მრჩეველები, მოუწოდებს გენდერულ საკითხებში უფროსი მრჩეველების და გენდერულ საკითხებში სხვა ოფიცრების თანამდებობების დაფინანსების შეტანას ბიუჯეტებში და მათ სწრაფად აყვანას სპეციალურ პოლიტიკურ მისიებსა და მრავალასპექტიან სამშვიდობო ოპერაციებში დანიშვნისას, და ასევე მოუწოდებს უფრო ფართო თანამშრომლობისკენ სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტს (DPKO), პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტს (DPA) და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციას შორის, რათა გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციები და სპეციალური პოლიტიკური მისიები გენდერული თვალსაზრისით უფრო სენსიტიური გახდეს; ამის ერთ-ერთი საშუალებაა გენდერულ საკითხებში სავსე მრჩეველებისა და მისიების სხვა სექტორებისათვის აღნიშნულ უწყებათა პოლიტიკური, არსებითი და ტექნიკური მხარდაჭერის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა №1325 (2000) რეზოლუციის და შემდგომი რეზოლუციების განხორციელების პროცესში, შესაბამისი შედარებითი უპირატესობების სრულფასოვნად გამოყენებით;

8. *მიესალმება* გენერალური მდივნის მიერ აღებულ ვალდებულებას, პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭოს გაერო-ს უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელ პოზიციებზე მეტი ქალების დანიშვნას, ფართო გეოგრაფიული წარმომადგენლობის გათვალისწინებით და ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხების მარეგულირებელი შესაბამისი არსებული წესებისა და რეგულაციების შესაბამისად, და *მოუწოდებს* მას, განიხილოს ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის სამუშაოდ ქალების დაქირავებას და მათ პროფესიულ დაწინაურებას, და *ასევე მიესალმება* მცდელობებს, რომლებიც მიმართულია სამხედრო სამსახურსა და პოლიციის შემადგენლობაში მომსახურე ქალების გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში მეტი რაოდენობით შეყვანის სტიმულირებისკენ, და *მოუწოდებს* გენერალურ მდივანს, წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით, არსებული რესურსების ფარგლებში, შემოიღოს გადასინჯული სტრატეგია, რათა მომავალი ხუთი წლის განმავლობაში გააორმაგოს გაერო-ს სამშვიდობო კონტინგენტში სამხედრო სამსახურსა და პოლიციის შემადგენლობაში მომსახურე ქალების რაოდენობა;

9. *გამოთქვამს* დიდ შეშფოთებას გაერო-ს სამშვიდობო ძალებისა და სხვა, არა გაერო-ს, ჯარების, მათ შორის სამხედრო, სამოქალაქო და პოლიციის მოსამსახურეების მიერ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ჩადენის შესახებ რეგულარული განცხადებების გამო, მოუწოდებს სამხედრო და პოლიციური შენაერთების კონტრიბუტორ ქვეყნებს, ოპერაციების დაწყებამდე ჩაატარონ სერიოზული ტრენინგები სექსუალურ ექსპლუატაციასა და ძალადობასთან დაკავშირებით და წინასწარ შეამოწმონ საკუთარი სამშვიდობო პერსონალი, ჩაატარონ ასევე თავიანთი სამხედრო მოსამსახურეების ქმედებათა სწრაფი და საფუძვლიანი გამოძიება, შესაბამის შემთხვევებში აღძრან მათ მიმართ სამართლებრივი დევნა და დროულად აცნობონ გაერო-ს გამოძიებათა მდგომარეობა და შედეგები, *მოუწოდებს* გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, შესაბამის შემთხვევებში და დროულად ითანამშრომლოს ქვეყნების მთავრობებთან, მათ შორის მოთხოვნის შემთხვევაში ზემოხსენებული განცხადებების გამოძიებაზე პასუხისმგებელ სასამართლოებთან, და *ითხოვს*, რომ გაერო-ში სამხედრო და პოლიციური შენაერთების კონტრიბუტორი ქვეყნების შეხვედრებზე საჭიროებისამებრ მოგვარდეს სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის საკითხი, ხოლო გაერო-ს სამხედრო პერსონალის კომიტეტს სთხოვს ამ საკითხების განხილვას მისი რეგულარული პროგრამის ფარგლებში;

10. *მიესალმება* გენერალური მდივნის მუდმივ ძალისხმევას არასათანადო ქცევის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განსახორციელებლად, კერძოდ, ფართო დიაპაზონის წინადადებებს არასათანადო ქცევის პრევენციის, მის გამო სამართალში მიცემის და გამოსასწორებელი ქმედებების შესახებ, რაც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების გაზრდას, მათ შორის გენერალური მდივნის მიერ აღებულ ვალდებულებას, საზოგადოებისთვის ცნობილი გახადოს გაერო-ს კონტინგენტის მიერ ჩადენილი არასათანადო ქცევის შემთხვევები, ასევე მის წინადადებას, უშიშროების საბჭოს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორციელების შესახებ და მის გადაწყვეტილებას, რომ ყველა ქვეყანას,

რომელიც განმეორებით იქნება შეტანილი „ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტების“ და „კონფლიქტების დროს სექსუალური ძალადობის“ შესახებ მისი ანგარიშების დანართებში, აკრძალოს მონაწილეობა გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში, და *მოუწოდებს* სამხედრო და პოლიციური შენაერთების კონტრიბუტორ იმ ქვეყნებს, რომლებიც ამჟამად შეტანილები არიან აღნიშნულ დანართებში, შეწყვიტონ ამგვარი დარღვევები, სწრაფად განახორციელონ სამოქმედო გეგმები და ამით თავიდან აიცილონ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შეჩერება, და *ასევე სთხოვს* გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოსთვის წარსადგენ ყველა თავის ანგარიშში ქვეყნებში არსებული სიტუაციების შესახებ ჩართოს თავი ქვეყნისა და დისციპლინის შესახებ, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის მიმართ მისი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შესრულების შესახებ;

11. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თავიანთი დღის წესრიგები ჩართონ ტერორიზმთან ბრძოლის და ტერორიზმის ხელშემწყობ ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის პოლიტიკაში, *თხოვნიით მიმართავს* ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტს (CTC) და ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტის აღმასრულებელ დირექტორატს (CTED), ჩართონ გენდერული საკითხი მათი მანდატების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის კონკრეტული ქვეყნების შეფასებებსა და ანგარიშებში და წევრი სახელმწიფოებისთვის მიწოდებულ რეკომენდაციებში, რაც ხელს შეუწყობს ტექნიკური დახმარების გაწევას წევრი სახელმწიფოებისთვის, ასევე ჩართონ საბჭოსთვის მიწოდებულ ინფორმაციაში, *მოუწოდებს* ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტს (CTC) და ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტის აღმასრულებელ დირექტორატს (CTED), მომავალშიც ჩაატარონ კონსულტაციები ქალებთან და ქალთა ორგანიზაციებთან, რათა დაეხმარონ მათ ინფორმაციის მიწოდებით მათ საქმიანობაში, და *ასევე მოუწოდებს* ტერორიზმთან ბრძოლის განმახორციელებელ სამუშაო ჯგუფს (CTITF), შემოიღოს ასეთივე მიდგომა მისი მანდატის ფარგლებში შესასრულებელ საქმიანობაში;

12. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს და თხოვნიით მიმართავს გაერო-ს შესაბამის უწყებებს, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტის აღმასრულებელ დირექტორატს (CTED), მისი მანდატის ფარგლებში და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ჩაატაროს კვლევა გენდერულ საკითხებზე და მოაგროვოს მონაცემები ქალებისათვის რადიკალიზაციის მამოძრავებელ ფაქტორებზე, ასევე ტერორიზმის საწინააღმდეგო სტრატეგიების ზემოქმედებაზე ქალთა უფლებებზე და ქალთა ორგანიზაციებზე, რათა ჩამოაყალიბოს მიზნობრივი და ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკა და შემოიღოს პროგრამული ინტერვენციები, და უზრუნველყოს, რომ გაერო-ს მონიტორინგისა და შეფასების იმ მექანიზმებსა და პროცესებში, რომელთა მანდატი გულისხმობს ტერორიზმის ხელშემწყობი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას და მასზე რეაგირებას, არსებობდეს აუცილებელი გამოცდილება გენდერულ საკითხებში მათი მანდატების შესასრულებლად, მათ შორის ფაქტების დამდგენი და სისხლის სამართლის

გამოძიებების საწარმოებლად შეიქმნას შესაბამისი სანქციებზე მომუშავე ექსპერტთა გუნდები და უწყებები;

13. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს და გაერო-ს სისტემას, უზრუნველყონ ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობა და ლიდერობა ტერორიზმის და ტერორიზმის ხელშემწყობი ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიების შემუშავებაში, მათ შორის ტერორისტული აქტების ჩადენისაკენ წაქეზებასთან დაპირისპირების, დიამეტრალურად საწინააღმდეგო იდეოლოგიის პროპაგანდირების და სხვა შესაფერისი ინტერვენციების მეშვეობით, და გააძლიერონ მათი შესაძლებლობები ზემოხსენებულის ეფექტიანად განსახორციელებლად, ასევე მოუწოდებს აღმოფხვრან, მათ შორის ქალების, ახალგაზრდების, რელიგიური და კულტურული ლიდერების გაძლიერების გზით, ტერორიზმის და ტერორიზმის ხელშემწყობი ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელებისთვის ხელსაყრელი პირობები გაერო-ს ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური სტრატეგიის - A/RES/60/288 - შესაბამისად, *მიესალმება* მზარდი ყურადღების მიპყრობას ინკლუზიური წინასწარი პრევენციის საქმიანობისთვის და *მოუწოდებს* გენერალურ მდივანს, თავის მომავალ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს ქალთა მონაწილეობა, ლიდერობა და გაძლიერება გაერო-ს სტრატეგიისა და რეაგირების ფარგლებში ცენტრალური კომპონენტის სახით, *მოუწოდებს ასევე* ამ თვალსაზრისით ადეკვატური დაფინანსების უზრუნველყოფისაკენ და იმისაკენ, რომ ტერორიზმის და ტერორიზმის ხელშემწყობი ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გაერო-ს დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი იქნეს გაზრდილი თანხა იმგვარი პროექტებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს, მათ შორის ქალთა გაძლიერებას;

14. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, გაზარდონ კონფლიქტებისა და კონფლიქტისშემდგომ სიტუაციებში ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის ჩამდენ პირთა ქმედებების სწრაფი გამოძიების, მათი სამართლებრივი დევნისა და დასჯის მეშვეობით, ასევე მსხვერპლთათვის საჭიროებისამებრ ზიანის ანაზღაურებით, *აღნიშნავს*, რომ ქალებისა და გოგონების მიმართ ჩადენილი, საერთაშორისო მასშტაბით შემაშფოთებელი ყველაზე სერიოზული დანაშაულების დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, სპეციალური და შერეული ტრიბუნალების, ასევე ეროვნულ ტრიბუნალებში სპეციალური კომისიების საქმიანობის წყალობით და *კიდევ ერთხელ აცხადებს* თავის განზრახვას, გააგრძელოს აქტიური ბრძოლა დაუსჯელობის წინააღმდეგ და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა შესაფერისი საშუალებებით;

15. *მოუწოდებს* ქალთა გაძლიერებისაკენ, მათ შორის, საჭიროებისამებრ, შესაძლებლობების გაძლიერების საქმიანობის მეშვეობით, რათა მათ შეძლონ მონაწილეობა მცირე კალიბრის იარაღის და სასროლი იარაღის უკანონო გავრცელების და დესტაბილიზაციის გამომწვევი აკუმულირებით გამოწვეული მოხმარების პრევენციის, მასთან ბრძოლისა და აღმოფხვრის საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში, და *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, გაერო-ს უწყებებს,

სამთავრობათაშორისო, რეგიონულ და ქვერეგიონულ ორგანიზაციებს, გაითვალისწინონ კონფლიქტებისა და კონფლიქტისშემდგომი სიტუაციების სპეციფიკური ზეგავლენა ქალთა და გოგონათა უსაფრთხოებაზე, მობილობაზე, განათლებაზე, ეკონომიკურ აქტიურობასა და შესაძლებლობებზე, რათა შეამცირონ ქალებისათვის მცირე კალიბრის იარაღის და სასროლი იარაღის უკანონო გავრცელებაში აქტიურ მონაწილეებად ქცევის რისკი;

16. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და სხვა აქტორებს, სათანადოდ გაითვალისწინონ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი 2016 წელს თურქეთში, სტამბოლში ჩასატარებელი მსოფლიო ჰუმანიტარული სამიტის პროცესსა და შედეგებში, *ასევე აღიარებს*, რომ ძალზე მნიშვნელოვანია გენდერული საკითხების ჩართვა ჰუმანიტარული პროგრამების დაგეგმვაში დაცვის მისაწვდომობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით და სრულფასოვანი სამედიცინო, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და საარსებო წყაროების მოპოვებაში დახმარების სერვისების დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფის მეშვეობით, ასევე იმის უზრუნველყოფით, რომ ქალებს და ქალთა ჯგუფებს შეეძლოთ ჰუმანიტარულ მოქმედებებში მიზანმიმართული მონაწილეობა და ლიდერის როლის შესრულებაში მხარდაჭერის მიღება, და *მოუწოდებს* გენერალურ მდივანს, გააძლიეროს ლიდერობა და პოლიტიკური ნება ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა დონეზე და უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება იმ ჰუმანიტარული ჩარჩოების მიმართ, რომლებიც ეხება ქალთა გაძლიერებას და გენდერულ თანასწორობას და ხელს უწყობს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებას;

17. *სთავაზობს* გენერალურ მდივანს, რომ მან №1325 რეზოლუციის განხორციელების შესახებ თავის მომდევნო წლიურ ანგარიშში წარმოადგინოს ინფორმაცია იმ პროგრესის შესახებ, რომელიც მიღწეული იქნა მაღალი დონის განხილვის შემდგომ საქმიანობაში, მათ შორის მსოფლიო კვლევის შესახებ გენერალური მდივნის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების და მაღალი დონის განხილვის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებაში, ასევე გაერო-ს სისტემისათვის მონიტორინგისა და შეფასების შესაბამისი მექანიზმების განხორციელებაში, და ყველაფერი ზემოხსენებული გააცნოს წევრ სახელმწიფოებს;

18. *იღებს გადაწყვეტილებას*, გააგრძელოს მოცემულ საკითხზე აქტიური მუშაობა.